




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

აგვისტო, 2023


- 2023 წლის ივლისში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 5.5 პროცენტი, ხოლო 2023 წლის 7 თვის საშუალო ზრდა 7.2 პროცენტზე დაფიქსირდა
- აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.9 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.7 პროცენტს
- ივლისში ექსპორტი შემცირდა წლიურად 0.7 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 1.2 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 2.8 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 657 მლნ აშშ დოლარს
- ივლისის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაიზარდა 13.8 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 2.4 პროცენტით წინა თვესთან
- აგვისტოში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.25 პროცენტამდე შეამცირა

ივლისში ეკონომიკურმა ზრდამ 5.5 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ




- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2023 წლის II კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7.4 პროცენტია. სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ ივლისში წინა თვესთან შედარებით -0.6 პროცენტი შეადგინა.
- 2023 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: საფინანსო და სადამბღვევო საქმიანობა, მშენებლობა, ვაჭრობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები.
- კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი და სამთომოპოვებითი მრეწველობის, ინფორმაციის და კომუნიკაციის დარგებში.

ეკონომიკური ზრდა 2023-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2023 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 7.7 პროცენტით




- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკა 7.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეოთხე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 9.7 პროცენტით. 2023 წლის პირველი კვარტლის ზრდა 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 23.1 პროცენტით ზრდას გულისხმობს.
- 2023 წლის პირველ კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა შემდეგმა დარგებმა:
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 44.2% (2.2 პ.პ.)
 - შინამეურნეობების, როგორც დაქირავებულის, საქმიანობები: 38.0% (0.05 პ.პ.)
 - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: 32.9% (0.4 პ.პ.)
 - განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: 15.7% (0.5 პ.პ.)
 - მშენებლობა: 15.1% (0.7 პ.პ.)
 - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 14.0% (1.6 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა შემდეგმა დარგებმა:
 - სამთომოპოვებითი მრეწველობა: -10.8 (-0.2 პ.პ.)
 - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: -12.7% (-0.7 პ.პ.)




წყარო: საქსტატი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 2.8 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- იელისში ექსპორტი წლიურად შემცირდა 0.7 პროცენტით და გაუტოლდა 529.6 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 15.5 პროცენტით და გაუტოლდა 253 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 1.2 პროცენტით და გაუტოლდა 1 187 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 2.8 პროცენტით და გაუტოლდა 657 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 14.8 პროცენტი (40.2 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიგანა უარყოფითი 19.2 პროცენტიანი წვლილი (-61.9 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 6.4, 0.4 და -5.6 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ივლისი




- **ექსპორტის გოპ საქონელი:**
 - მსუბუქი ავტომობილები: 187 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 35.3 პროცენტი.
 - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 39.3 მლნ აშშ დოლარი - 7.4 პროცენტი.
 - ელექტროენერგია: 26.8 მლნ. აშშ დოლარი - 5.1 პროცენტი.

იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %




იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ივლისი



- **იმპორტის გოპ საქონელი:**
 - მსუბუქი ავტომობილები: 190.5 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 16.1 პროცენტი.
 - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 111.6 მლნ აშშ დოლარით - 9.4 პროცენტი.
 - სამკურნალო საშუალებები დაფასოებული: 43.2 მლნ აშშ დოლარით - 3.6 პროცენტი.
- **ექსპორტის გოპ ქვეყნები:**
 - რუსეთი: 72.3 მლნ. აშშ დოლარი, 13.6 პროცენტი.
 - აზერბაიჯანი: 70.7 მლნ. აშშ დოლარი - 13.4 პროცენტი.
 - ყირგიზეთი: 69.4 მლნ. აშშ დოლარი - 13.1 პროცენტი.

- **იმპორტის გოპ ქვეყნები:**
 - თურქეთი: 171.1 მლნ. აშშ დოლარი, 14.4 პროცენტი.
 - რუსეთი: 159.8 მლნ. აშშ დოლარი - 13.5 პროცენტი.
 - ჩინეთი: 126.2 მლნ. აშშ დოლარი - 10.6 პროცენტი.

წმინდა ფულადი გზავნილები, 2023-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, ივლისი 2023

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, კპ
რუსეთი	70.3	-28.2	-9.9
იტალია	44.5	26.4	3.3
აშშ	38.8	42.6	4.2
საბერძნეთი	20.3	14.3	0.9
გერმანია	19.7	42.2	2.1
ისრაელი	17.2	6.2	0.4
სხვა	61.9	-11.8	-3.0

2023 წლის ივლისში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 272.7 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.0 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 102 პროცენტით მეტია.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - ერაყი: 594.7 პროცენტი (0.7 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - იორდანია: 412.2 პროცენტი (0.5 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - ავსტრია: 107.4 პროცენტი (0.2 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - ყაზახეთი: 73.9 პროცენტი (2.4 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია).
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - სომხეთი: -89.5 პროცენტი (-2.3 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ყირგიზეთი: -67.9 (-2.3 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით




ივლისში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად 13.8 პროცენტით გაიყარდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	1 სექტემბერი, 2023		1 სექ 2023 - 1 იან 2023		1 სექ 2023 - 1 იან 2022
ევრო	2.8596	▲	0.9%	▲	22.4%
აშშ დოლარი	2.6293	▲	2.8%	▲	17.5%
თურქული ლირა	0.0985	▲	46.5%	▲	134.7%
რუსული რუბლი	0.0272	▲	35.0%	▲	51.3%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	189.54	▲	15.2%	▲	44.6%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ივლისი 2023)	155.58	▲	7.2%	▲	23.1%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)


ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, აგვისტო 2023




ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2023 წლის აგვისტოში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,587 მლნ ლარი, რაც 0.3 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.
- 2023 წლის ივლისში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 29.7 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 25.8 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაშაულს, შეადგინა -54.3 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა უარყოფით 41.5 მლნ ლარით.
- 2023 წლის აგვისტოში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა, შესაბამისად 6.2 და 4.2 პროცენტის კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი




- 2023 წლის აგვისტოში ჩაგარდა 6 გამოშვებისა და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 263.35 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.43% შეადგინა. ივლისის
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 50 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.
- 2023 წლის 31 აგვისტოსათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის დაახლოებით 39% ფორმირებულია იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 3-5 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 1-დან 3 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 28%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (ივლისი 2.26) შედარებით შემცირდა და 1.68 შეადგინა.



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი





ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (31 აგვისტო)



სესხების ლარიზაცია




დეპოზიტების ლარიზაცია




- 2023 წლის 31 ივლისის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 54.4 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 70.4 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 35.4 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 48.6 პროცენტს უგოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 74.0 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 32.8 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 55.2 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უგოლდება 48.5 პროცენტს უგოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 40.5 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ


სესხების წლიური ზრდა, %



სესხების წლიური ზრდა, %




უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, % წ/წ



- 2023 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 19.5 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 21.7 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 17.6 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 14.8 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 25.6 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 23.1 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 24.8, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 21.6 პროცენტით გაიზარდა.


დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.07.2023




დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.07.2023




დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.07.2023




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 31 ივლისის 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 29.6 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუგოლდა 41.6 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 20.0 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 30.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 31.9 პროცენტს გაუგოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის აგვისტოს დასაწყისში შეადგინა 29.4 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 23.5 პროცენტს გაუგოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 38.1 პროცენტი.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი




■ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 2 აგვისტოს რეზინანსირების განაკვეთი 0.25 პროცენტული პუნქტით შეამცირა და 10.25 პროცენტზე დააფიქსირა.

■ სებ-ს მიხედვით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია და პანდემიისგან წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა. თუმცა ბოლო პერიოდში საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დასტაბილურების ნიშნები იკვეთება. ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად ნავთობპროდუქტების ფასებმა დაიკლო. ამავდროულად, საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასები სწრაფი ტემპით შემცირებას განაგრძობს, რაც იმპორტირებული პროდუქტების ფასებზეც უნდა აისახოს. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა. მიმდინარე წლის აგვისტოში ფაქტობრივმა ინფლაციამ 0.9 პროცენტი შეადგინა და სამომავლო ინფლაციას ჩამოცდა. მას კვლავ შემცირების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი.



■ მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხლომა 2023 წლის 13 სექტემბერს ჩაგარდება.

■ 2023 წლის აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციები აუქციონის მეშვეობით არ განახორციელა.

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 11.0 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 2.2 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 11.1 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.0 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.6 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.4 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.6 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.5 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის ივნისის ბოლოს 14 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.3 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.9 პროცენტი.

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო